„საქართველო ჯერ ქართველებისათვის!“

სალ კლდე

ქართული ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ორშაბათი, მარტის 31. (მარტის 18) 1919 წელი.

№ 41.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ყოველ-კვირეული საორშაბათო გაზეთი

სალ კლდე

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 8 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, ხსახლის ქ. № 5

ტელეფონი № 18—31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

წერილები.

მეთაური. გაფიცვები და ჩვენი დამოუკიდებლობა

რაე. მინიატურები:

I. უკვდავია ჰოტენტოტური მორალი

II. აშენდა საქართველო.

III. ბედის წერა.

სანდროშვილი. ჩვენი სკოლა

ლ. კიკაბიძე. ქართული ჯარის ბედი

ქართული პრესა. „ერთობა“ ოპოზიციის შესახებ

საქ. კორეს.—პატრ. ლეონიდე. მიმართვა სამწყსოსადმი

კორესპოდენცია. კახეთიდან—სოფელი წინანდალი

ცნობები

ქართველები ოსმალეთის მთავრობაში.

ბორჯომის მამულის რეგიზია.

შორაპნის ერობის გარშემო.

უკანასკნელი ცნობები (კვირის ტელეგრამები და ამბები მესამე გვერდზეა).

ჩვენს თანამოაზრეთ ვთხოვთ დაეხმარონ გაზეთ „კლდის“ ფონდის გაძლიერებას.

თფილისში მყოფ თანამოაზრეთა პარტიაში ჩაწერა სწარმოებს კომიტეტში („კლდის“ ბინაზე) დილის 10 საათიდან 3 საათამდის და აგრეთვე კომიტეტის წევრებთა და რწმუნებულებთა სათანადო სარეგისტრაციო წიგნაკებით.

———

პროვინციის ორგანიზაციებს ევალებათ მოახდინონ საჩქაროდ სრული რეგისტრაცია თავიანთი წევრების და სიების ასლი გამოგზავნონ მთავარ კომიტეტში.

———

პროვინციის ყველა ორგანიზაციებს ევალებათ დაუყონებლივ მოაწყონ თავიანთი რაიონიდან კორესპონდენციების გზავნა პარტიის ორგანოში (გაზეთ „კლდეში“). სადაც ორგანიზაცია არ არის, „კლდის“ რედაქცია სთხოვს პარტიის წევრთ და თანამოაზრეთ მოგვაწოდონ კორესპონდენციები. ადგილობრივი ცხოვრების შესახებ;

მუდმივ კორესპონდენტებს გაზეთი „კლდე“ უფასოდ გაეგზავნებათ.

და ბეჭდა ახალი წიგნი.

გრიგოლ ვეშაპელის

სიტყვები ნათქვამი პარლამენტში

[ეროვნულ საბჭოში]

1. დამოუკიდებლობის გამოცხადება
2. მთავრობის სამსუხო დეკლარაცია
3. საქართველოს ფერბი
4. ომი სომხებთან
5. ზავი სომხებთან
6. მიწის საკითხი

ფასი 3 მანეთი.

წიგნის საწყობი:

„კლდის“ რედაქცია, თფილისი, ხსახლის ქუჩა, № 5. ქართულ კლუბთან, ტელ. 18—31..

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ყოველ კვირეულ, საორშაბათო გაზეთ „სალ კლდე“-ზე.

გაზეთის ფასი წლის დამლეამდე 40 მან. | ნახევარი წლით 25 მან. | სამი თვით 15 მან. | ერთი თვით 5 მან.

თფილისი, მარტის 31.

გაფიცვები და ჩვენი დამოუკიდებლობა.

ქალაქის თვითმართველობის მსახურ—მუშათა გაფიცვა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აშკარა ხასიათის და კატეგორიის მოვლენა არის.

ეკონომიური მოტივი ასეთი საქციელისა მისაღები იქნებოდა, რომ გაფიცულნი დასთანხმებოდენ ქალაქის გამგეობას და მათთან ერთათ მიეღოთ ის ზომები ფულის საშოვნელად, რომელსაც გამგეობა ურჩევდა. მაგრამ გაფიცვას დღეს ცხადი და მწვავე პოლიტიკური ხასიათი აქვს და მომართულია რესპუბლიკის საწინააღმდეგოთ.

ჩვენთვის ისიც აშკარაა, რომ საქმე ამით არ გათავდება და ეს მხოლოდ პირველი ეპოზოდი გახლავთ, რომელსაც სხვებიც მოჰყვება.

დღეს თუ ჩვენს წინააღმდეგ იფიცებიან მოკადეტე რუსი „უჩიტელნიცები“, მობოლშევიკე სომეხ ... ქართველობაც მისდევს თან. ხვალ გაფიცვით ... ქრებიან ათთიაქისა და სხვა ხელობის მომუშავენიც.

დღემდის ნაწარმოები ბრძა კლასობრივი ეგოისტური პოლიტიკა ცოტას არ უწყობდა ხელს ყველაფერს ამას და დღეს თავის ნაყოფს იძლევა. იგი მხოლოდ მუშათა ინტერესებს ემსახურებოდა. შემოკლებულ საქმეზედ დიდი შტატი მუშაობდა და ისეთს ხელფასს იღებდა, რომელსაც არ ანაზღაურებდა საქმის შემოსავალი. დღეს საქართველოში არ არის არც ერთი დარგი წარმოებისა, რომელიც ზარალს არ იძლეოდეს და ხაზინის საგანგებო დახმარებას არა საჭიროებდეს.

ამ გზით საცა კი გამოიფიტა და შეიჭამა შემოსავალი და მოისპო ვალის აღების შესაძლებლობაც კი იქ, ზოგი სიმშილის გამო, ზოგი აშკარა პოლიტიკურ მოსაზრებით ჩვენ საწინააღმდეგოთ ირაზმება. იწყობა ცუდი პრეცენდენტები.

დარაზმვა ხდება რევოლუციის სახელით და საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ახალი მტერი უჩნდება—მტერი შიგ თფილისში.

ჩვენ, ნაციონალისტებს, ყველა მოვლენისათვის—ომი იქნებოდა თუ რევოლუცია—და ყველა მოქმედებისა და რეფორმისათვის—ერთათ-ერთი საზომი გვქონია და გვაქვს—საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ ჩვენი საზომით რომ შეეხედოთ—აშკარაა, რომ აქ იწყება ის ხაზი, რომლის გადასვლა, გინდ რევოლუციის სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობის მტრების ბანაკში გადასვლას ნიშნავს. რევოლუციამ ჩვენი ნაციონალური იდეალების განაღდებაში—უკვე მიაღწია უმწვერვალეს წერტილს. საქართველო აბსოლუტურად თავისუფალია და მისი წაწევა წინ ამ თავისუფლების უფსკრულში ჩაგდებას ნიშნავს.

მთელი ძალა დღეს ამ ეროვნულ თავისუფლების განაღდებას და ბანმტკიცებას უნდა შეეალიოს.

ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიურს ცვლილებას და კულტურულ შემოქმედებას დღეს ერთი აზრი უნდა ჰქონდეს—გაღონიერება და გაძლიერება ისეთი საზოგადოებრივი ძალებისა, რომელნიც არსებითათ და სასიცოცხლოთ დაინტერესებულნი იქნებიან საქართველოს დამოუკიდებლობის შენახვაში. მარცხნივ ეს ძალები აღარა ჩანან და ამიტომ ყოველივე ჩვენი წაწევა აქეთ დღევანდელი ან ყოფილი მინისტრის დეკლარაციით იქნება ეს გამოხატული თუ მუშათა გაფიცვით, საქართველოს მხოლოთ სამარით ემუქრება. რევოლუციის თვალი შემოტრიალდა და, სოც. დემ. ლიდერების სიტყვით რომ ვთქვათ, ბოლშევიზმით და უნიეერსალური ინტერნაციონალიზმით თავის სათავეს უახლოვდება. უახლოვდება ძველს რეაქციას.

გავატანთ თუ არა თავისუფალ საქართველოს აი ამ სამარეში ჩასასვენებლათ? აი როგორ არის დღეს საკითხი დაყენებული! დღეს ბრძოლა უნდა მოხდეს საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. რევოლუციის აპოლოგეტებს, რევოლუციის კანონებს ჩვენ ვერ ვასწავლით და ისიც ეცოდინებათ, რომ ბრძოლა შეიძლება სასტიკი იყოს და გათავდება იგი ძალთა განწყობილების შეწონვით.

ბრძოლის პირველი ნაბიჯი შტატების შემოკლება და უცხოელთა ერთობა, რომ ავანტიურისტებს ეძახის გაძევება იქნება. ეს უცხო ხალხი ჩვენი მმართველი პარტიის უტიფრო ინტერნაციონალურის და ბეცი პოლიტიკის წყალობით კბილის მატლათ გაუჩნდა ჩვენ ნორჩ სახელმწიფოს.

მაგრამ, ვაი რომ საქმე მათი გაძევებითაც არ გათავდეს და თუ მთავრობამ არსებითად არ შესცვალა თავისი ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა, არ გამონახა რაიმე საგანგებო ღონის ძიება კრიზისიდან თავის დახწევისათვის—მაშინ, როგორც ვთქვით, ჩვენ ვნახავთ გაფიცვას უფრო ფართო ხასიათისას მოყვანე დემოკრატიის ... ელემენტის მეტის მონაწილეობით.

სამწუხაროთ სიმპტომები უკვე სჩანს. უკვე ვთქვით იმუქრებიან გაფიცვით აფთიაქისა და სხვა-გვარ საქმეში მომუშავენი. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრების დიდი „недоразумѣніе“—სოც.-ფედერალისტები მათთვის შესაფერ იდეალოგიის გალობასაც მოყვენ.

ყოველ გაფიცვას რევოლუციის დროს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური აზრი და შედეგი ჰქონია და ამ მოსალოდნელ გაფიცვასაც ავი აზრი ექნება ჩვენთვის. იგი მუქარა იქნება საქართველოს დამოუკიდებლობისა და მთავრობაც მოვალეა მათ წინააღმდეგ, თუ სხვა საშუალებამ არ გასჭრა, ისარგებლოს იმ ძალებით, რომელნიც ვერ შეურიგდებიან საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას.

ასეთი ძალები ბლომათ არიან. ჩვენ ნაციონალისტებს, საქართველოს დამოუკიდებლობის თავდაპირველ დამცველთ, რომლის მესაკუთრე მეურნე მიგვაჩნდა იმ საზოგადოებრივ ძალათ, რომელიც დაიცავდა და შეინახავდა თვითარს საქართველოს. მართალია შეირყა სოფლის სურათი ძირიანათ და ბევრი ასეთი მეურნე დაეცა, მაგრამ მათ ეყოთ კეთილშობილება და პატრიოტიზმი ქვეყნისათვის მტლად დაედოთ პირადი ბედნიერებაც, დაგროვილი ქონებაც და ხშირად სიცოცხლეც. ამ კლასს არ აღუზრდია და არ მოუცია არც ფილიპე მახარაძე, არც საშა და მიშა გეგეჭკორები, არც მდივნები და ძმანი მათნი და დღესაც იშვიათის თავგანწირვით მზათაა დადგეს ქვეყნის სამსახურში. დიდი, ძალიან დიდი უმრავლესობა ჩვენი გლეხკაცობისა ჩაება არსებითის ინტერესებით საქართველოს დამოუკიდებლობაში და თუ დღემდის თავს სდებდა ბორჩალო, ახალციხე-სოჩაში—ხვალ არც იმას მოერიდება, რომ თფილისიც გასწმინდოს ამ დამოუკიდებლობის მტრებისაგან.

იმ თავითვე ამ კატეგორიას ემატებოდა ის ინტელიგენცია, რომლის იდეალოგიური მრწამსი ლოცვა იყო საქართველოს დამოუკიდებლობაზე და ის წვრილი ვაჭრობა, რომელიც დაინტერესებული იყო უცხო ტომის მოჭიშპე ელემენტის გადევნით. დღეს მათ მიემატენ „ურწმუნო თომანიც“.

თუ ერთ დროს საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგნი იყვენ, დღეს საქართველოს თავისუფლებამ იმდენი რამ უთხრა ამ ხალხის თუ ჭკუასა და სინიდისს არა, კუჭს და ჯიბეს მაინც, ისეთი სიტკბოების შარბათი შეასვა, რომ ადვილად არ დასთმობენ ამას.

და აი როდესაც „რევოლუცია აღარ ხუმრობს“ და ახალი ძალა ... ებს გამოსვლას საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, მთავრობას ევალება დაეყრდნოს მომხრე და ... დამოუკიდებლობის შენახვაში დაინტერესებულ ძალებს, გააძლიეროს თავისი მოქმედებით, აწარმოვოს მათთვის ხელსაყრელი პოლიტიკა გონივრად და დაჩქარებით და მოსთხოვოს მათაც ყველაფერი ამ დამოუკ დებლობის შესანახათ.

და თუ გვიწერია, რომ თფილისის ქუჩებმა აღმართონ მუქარა საქართველოს წინააღ მდეგ, მაშინ დაე ამ საქართველომ ასწავლოს ჭკუა ამ ქუჩებს და ისინი, ვისაც საქართველომ თავისი ბედი ჩააბარა დღეს ნუ შედრკებიან იმ შემთხვევაშიაც თუ ისტორიამ პატარა ლაფაიეტების როლებშიც გამოიყვანა.

მინიატურები

I.

უკვდავი ჰოტენტატური მორალი.

რასაკვირველია, ჩვენის თვალსაზრისით არამც თუ არ გამართლდება, პირიქით დასაგმობია ის გაფიცვა, რომელსაც აწარმოებს ქალაქის მოსამსახურეთა ერთი ნაწილი, მაგრამ როგორ უსაყვედურებს ამას და გააფთრებით ებრძვის სოციალ-დემოკრატია, სრულებით გაუგებარია. იგი გულანდილად ეუბნება: რომ გაფიცვა ეს ბალშევიკებთან, ბურჟუაზიასთან ბრძოლისა და უაზროა დემოკრატიასთან ბრძოლაშია. გავსინჯოთ ეს დებულება უფრო დაწვრილებით. თუ კი კაპიტალისტთან შეიძლება ბრძოლა ასეთი უმგვანი საშუალებით და ხშირად მისი საქმის მოსპობამდის მიყვანაც (აიღეთ ბათუმის ნავთის ქარხნები; სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა 1905 წ. და ათასი სხვა), რატომ არ შეიძლება გაეფიცოს ისეთ დაწესებულებას, რომელიც საცხოვრებელ მინიმუმს არ გაძლევს? იმიტომ რომ „იგი დემოკრატიის ხელშია“. გამოდის რომ ჩვენ სოციალ-დემოკრატიას არც აუღია, არც დაუღია და იმის მაგიერ რომ განათლებულ ქვეყნებიდან ესესხა რამე, ჰოტენტოტების მორალი შეუთვისებია: თუ მე მოგტაცე კარგია, თუ შენ მომტაცე ავიაო; თუ მე გაგეფიცე დემოკრატიზმია, თუ შენ გამეფიცე—დანაშაულიაო და ამისთვის გაკიცხავს, გმობს და დასჯას ემუქრებიან: „გაგრეკავთ სამსახურიდან, სხვებს დავაყენებთ და სამართალშიაც მიგცემთო“. საკვირველი მეტამორფოზა ხდება: წინად არა მარტო სოციალ-დემოკრატია, როგორც პარტია და მიმართულება, არამედ პერსონალურადაც სწორედ ისინი, რომელნიც ეხლა ჰგმობენ გაფიცულებს, ცეცხლს აფრქვევდა ყველას ვინც გაფიცვის წინააღმდეგ იტყოდა რასმე, ეხლა კი?...

და ეს ხდებოდა არა მარტო კაპიტალისტების წინააღმდეგ გაფიცვის დროს, არამედ თუნდაც იმავე ქალაქ თფილისის წინააღმდეგ გაფიცვის დროსაც—ტრამვაისა, ელექტრონისა და სხვადასხვა მუშებისა. მაშინაც ხომ ქალაქის თვითმართველობა კაპიტალისტური წარმოებით მოგებას არა ხედავდა და მთელ შემოსავალს, მაშინ უფრო ვიდრე ეხლა, ქალაქსავე ანდომებდა? მაშინაც იყო დეფიციტი. ეხლაც. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო რომ მაშინ ყველაფერი უფრო იაფი და მოწყობილი იყო, ვიდრე ეხლა. მართალია, მაშინდელი თვითმართველობა სხვა შემადგენლობისა იყო და ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ იგი მაშინაც საზოგადოებრივი დაწესებულება იყო და მის წინააღმდეგ ბრძოლას ყველაზედ სასტიკად ის „ერთობა“ აწარმოებდა, რომელიც ეხლა ასე ესარჩლება.

მაგრამ ვსთქვათ, რომ სოციალ-დემოკრატია ეხლა მართალია ამ ბრძოლაში და მარტო ეხლა მიხედა თავის შეცდომებს, განა მან არ იცის, თუ როგორ დაიგვიანა და წაახდინა საქმე იმით, რომ ბევრი უკან დასახევი გზა მოიჭრა?

დღევანდელ გაფიცვაში მას არ შეუძლიან დაინახოს ნამდვილი მიზეზი: უცხოელთა ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ, რადგან დოგმებით დაბრმავა თვალები და მაშასადამე ვერც ნამდვილ საშუალებას გამოსძებნის მის წინააღმდეგ. აი თუნდაც სამართალში მიცემა. რა შეუძლიან სასამართლოს? კანონით ხომ ყველასა აქვს უფლება გაფიცვისა და მაშასადამე კანონი ვერ დასჯის გაფიცულებს პირიქით, გაფიცვისთვის დახმარებაც უნდა მიიღონ შრომის დაცვის სამინისტროდან. ამ რიგად კეხი მათვე მოუბრუნდათ.

ახლა შევხედოთ ამ გაფიცვას მეორე მხრით: ვინ და ვის გაეფიცა? აშკარაა, რომ არა მარტო ქალაქის მოსამსახურენი, არამედ ყველა მოხელე, მოსამსახურე თუ სხვა მუშაკი, რომელიც მარტო ჯამაგირითა სცხოვრობს, უკიდურესად გაჭირვებულია და შიმშილს განიცდის; მთელი ინტელიგენცია, განდევნილი ცხოვრებიდან, თუ იგი საკმაოდ უსინდისო არ არის რომ სოციალ-დემოკრატად აღიაროს თავი, ან ლაქიად გაუხდეს მათ უკიდურეს მდგომარეობაშია და ამ დროს, ეს ხომ ვერსად დაიმალება, სოციალ-დემოკრატია არა კმაყოფილდება პოლიტიკური ბა-

ტონობით, არამედ ინაწილებს უხვად ამა ქვეყნის სიტკბოებათ, წინააღმდეგ თავისავე თეორიული დებულებისა და იდეებისა. ქალაქის ხმოსნები, გამგეობა თუ თავები ადგენენ ავტომობილებით, მსახურობენ სხვადასხვა კომიტეტებსა თუ სამინისტროებში; მათი პარტიული ამხანაგები ბრალობენ სხვადასხვა ლეგალური და არა ლეგალური საქმეებით არა მარტო იმდენს რამდენიც საჭიროა დღეს, ალბად მომავლისათვისაც იმზადებენ „ზაპასებს", იძენენ ქონებას და სხვადასხვა მაშასადამე ისინი გაცილებით უფრო პარაზიტულ ცხოვრებას აწარმოებენ, ვიდრე ნამდვილი ბურჟუაზია. ბურჟუაზია თავისთვის დიდლუმას იღებს ყველგან, მაგრამ რაღასაც აწარმოებს კიდეც და ჩვენი სოციალ-დემოკრატია გადაიქცა მტაცებელ ბურჟუაზიად, რომელიც „არცა ხნავს, არცა სთესავს და... ბეღლებში კი აგროვებს ბლომად".

რაღა თქმა უნდა, რომ ბრძოლა „გაბატონებულ კლასებთან" არ უნდა ეხებოდეს მცხოვრებლებს, მაგრამ სოციალ-დემოკრატიისაგან გაწვრთნილი ხალხი და მაგან თეორიულად განსწავლული, ველარ ახერხებს თავის შეკავებას: ფასა შიან და ებრძვის გამაძღარს, იქნება ის სახელად კაპიტალისტი, შემქმნელი რისამე, თუ უქნარა სოციალ-დემოკრატი.

იდეური საფუძველი სოციალ-დემოკრატიამ დაჰკარგა, რადგან ცხოვრების კანონები მის კანონებზედ მძლავრნი აღმოჩნდნენ და თუმცა სიტყვით „რევოლიუციის მოსამზადებელ" ყველასათვის თანაბარი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში, ფაქტიურად პოლიტიკაც და მთელი ამ ქვეყნიური სიკეთეც მარტო სოციალ-დემოკრატების მონოპოლიად გახდა და მონოპოლიად ყველაზედ უმზგავსი სახით: სხვადასხვა ტრაკების, თუ ძალადობის, „უ სიბრიყვის საშუალებით.

ამ რიგად, ახლანდელმა უმგვანმა გაფიცვამ სრულიად კბილი მოსჭრა დღევანდელ ყალბ მდგომარეობას და გადაჭრილი პასუხი მოითხოვა: ან უნდა თავი განებოს სოციალ-დემოკრატიამ თავის ყალბ მდგომარეობას და რომელიმე სწორე გზას დაადგეს ან წმინდა ბურჟუაზიულ მეშჩანურს მთელი თავისი სიფართოვით და ეს აღიაროს აშკარად, ან წმინდა სოციალისტურს, რასაც ურჩევენ თურმე გაფიცული „ამხანაგები": ქალაქის წარმოებანი, სახლები, მიწები და სხ. განვასაზოგადოვოთო. ისეთი ქანაობა კი, სიტყვისა და ცარცვის შუა—დიდიხნის საგზალი არ არის. დაპყრობა რომელიმე ქალაქისა და სახელმწიფოსიც ყველთა ბრბოსაც შეუძლიან, მაგრამ მისი შენარჩუნება ალბოლოდ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მომქმედ ადამიანთა ჯგუფების კავშირის ხვედრია.

II.

აშენდი საქართველო.

მაშინ როდესაც მმართველი წრეები, ქალაქის საბჭოგამგეობა, ახლად „გაბატონებული კლასი" სოციალ-დემოკრატიისა და სხ. გააფთრებით ებრძვის ასობით დამშეულ მოსამსახურეთ, რომელთაც სამ-სამი თვეა ჯამაგირები არ მიუღიათ და იკვებებიან მხოლოდ „დემოკრატიული" სიტყვებით; დემოკრატიულის ჯადის მაგიერ,—მაშინ, მეთქი, გამაძღარი, მუქთად ჯამაგირ მიღებული, სალიკვიდაციო ფულის წამლები ერთად-ერთი ჭეშმარიტი მთელი საქართველოს საზრუნავი გახდა. მისთვის გაიფიცნენ ბანკის მოსამსახურენი, მისთვის იფიცებიან თფილისის ყველა ბანკების მოსამსახურენი და დელეგატთა ყრილობა იმუქრება, რომ მთელი საქართველოს საკრედიტო დაწესებულებანი გაიფიცებიან, თუ ჭეშმარიტი უკან მიღებული არ იქნება.

შეიძლება შემარიგებელი კამერა, პროფესიონალურმა კავშირმა ომი გამოუცხადა ბანკებს და როცა მთავრობის თავჯდომარემ შეყარა მთავრობის საგანგებო ყრილობა და მთელმა უკანონოდ სცნო ჭეშმარიტის მოქმედება, პროფესიონალურმა ომი გამოუცხადა მთავრობასაც და აჯობა კიდეც: შრომის სამინისტრომ შეერთებულ მთავრობის" ნაწილმა, ურჩია ბანკებს დაეკმაყოფილებინათ ჭეშმარიტი. ამ რიგად ერთი გამაძღარი, მაგრამ დათხოვნილი მოსამსახურისათვის შეიძრა მთელი საქართველოს დამფუძნებელი კრების" საგნად გადაიქცევა ჭეშმარიტის საქმე. ასეთია პუსტიეი „გაბატონებული კლასის" თუნდაც უმდაბლესი წევრისა. და რომ ვინმე გადაკითხოს „ისტორიული დოკუმენტი", გამოქვეყნებული ამიერ-კავკასიის ბანკისაგან ჭეშმარიტის საქმეზედ, სწორედ მაშინ როდესაც გაბატონებული კლასის წინააღმდეგ მებრძოლ მუშა-მოსამსახურეთ ათასობით ქუჩატი ჰყრიან ულიკვიდაციოთ, უჯამაგიროდ, მათ მაგიერ აყენებენ „შეგნებულ შტრეიხბრეხერებს", და სასამართლოთაც ემუქრებიან—უთუოდ მიხვდება, რომ «საქართველო სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის გზას დაადგა».

III.

ბედის წერა.

როდესაც ბ-ნი ევგენი გეგეჭკორი ქუთაისში ადვოკატობდა, ვერავინ მოიფიქრებდა რომ მის ხელთაა ბედისწერა საქართველოსი, მაგრამ იგი გახდა სამხედრო ბეჭ ჩვენი დაკარგულია და ბათუმი მოსწყვიტეს საქართველოს. ამის შემდეგ გავიდა ხანი და რაკი სამხედრო მინისტრად ნამყოფი იყო, ალბად საგარეო საქმეთა მინისტრადაც გამოიყენებოდა, რადგან „დიპლომატიაც ხომ ომია... სიტყვიერი". სამხედრო სტრატეგიაში დახელოვნებულმა, და ოსმალეთთან გამარჯვებულმა, რასაკვირველია მოიგო გული ბოლშევიკებისაც და. მათ... ომი გამოგვიცხადეს. საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს, ბ-მა გეგეჭკორმა გაიმარჯვა დიპლომატიაში და მოიგო ბორჩალო... სომხებისათვის..

მაგრამ ჩვენ ბედი გვწყალობს თანდათან და რაკი ასეთი ხარხტიანობა გამოიჩინა სტრატეგიაში და დიპლომატიაში, საქართველოს ბედი მთლად მას ჩააბარეს და დღეს იგი—პირველი მინისტრია. ჩვენა გვგონია რომ აქედან საქართველოს აღსასრულის დღე გვიახლოვდება და ერთი ღა გვაფიქრებს: ინტერნაციონალისტმა გეგეჭკორმა ბათომი მისცა ჩვენს დაუძინებელ მტერს—ოსმალეთს, ბორჩალო მეორე მტერს—სომხებს; ნატა რომელი ვერაგი, სასტიკი და ულვარ მტრისათვისა აქვსგამზადებული ზვარაკად მთელი საქართველო ქუთათურ ნაფიც ვექილს?...

ნეტა სად დაიფიცა და რისთვის?

რაე.

ჩვენი სკოლა.

განათლების მინისტრიც გადადგა. მეტათ უფერული, უილაჯობათ სავსე კვალი დასტოვა.

ჩვენ არ ვიცით მეორე ისეთი სამინისტროჯ, საცა ასეთი არარაობის, ასეთი უსუსურობის ნიშანწყალი ტრიალებდეს.

და ეს აღდგენილ ერის სკოლაში, საცა მთელი სიძლიერით უნდა ანთებულიყო და უნდა აინთოს! აღორძინების შემოქმედი სული!

ერის აღორძინება, მისი გაჯანსაღება—სკოლის აღორძინებით და სკოლის გაჯანსაღებით იწყობა—ეს კანონია ისტორიისა.

სამინისტრომ ვერ მოგვცა არამც თუ განახლებული სკოლა, არამედ არავითარი აზრი, ცოცხალი სიტყვა მომავალ ეროვნულ სკოლაზედ. მის მოქმედებაში არ სჩანდა არც აზრ-შეწონილობა, არც სისტემა, არც რაიმე გარკვეული გეგმა. პროგრამისა და სასწავლო საგნების ციკლის მხრივ იგი დაადგა რუსულ ჩვენს გასანადგურებლად მიმართულს ტრაფარეტს და არავითარი შესწორება არ შეუტანია, გარდა დასტურისა სამღვთო სჯულის სწავლების უაზრო და უმაგალითო აღკვეთაზე. მორიგი საქმიანობა, ნაციონალიზაცია და საყოველთაო სწავლის შემოღება, რომელიც მექანიკურად დააწვა სამინისტროს ისეთს ყოფას განიცდიან, რომ მოსაწონი ბევრი არაფერია.

თუ საყოველთაო სწავლის შემოღებას ხელს უშლის ჩვენი უსახსრობა, ამ დიდი საქმისათვის საჭირო წინასწარი მასალა მაინც უნდა დამუშავებულიყო და სამწუხაროთ იგი ჯერაც არსადა სჩანს.

პირიქით სამინისტრომ იმასაც ვერ მოუარა ხელირიანათ, რაც იყო წინათ. რამდენია ისეთი სკოლა, რომელიც წინათ მოქმედობდა და რომლის კარი დღეს მიკეტილია?

ვინც კითხულობს გულის შემზარავ ამბებს ჩვენი მიყრუებული პროვინციებიდან—იმას ოდნავი წარმოდგენა მაინც ექნება ამაზედ.

დაუჯერებელი ამბავია—მაგრამ წასული მინისტრი „სხვა მშვენიერებასთან და საქმიანობასთან" ერთათ „დაკარგულს" სკოლებსაც გადასცემს მოადგილეს. სოფ. მატანში არის სკოლა მასწავლებელი დალაქაშვილისა. ეს სკოლა თელავის ინსპეკციას ეკუთვნოდა, მას ამოუწერია და მიწერით კი არავისთვის მიუწერიათ. და აი, აგერ სასწავლო წელიწადი თავდება და მიუხედავათ ბევრი თხოვნებისა წერილობით და ნაცნობ და პირადი განცხადების სახით სკოლა და მასწავლებელი ასე, ყოველივე უწყების გარეშე არიან!

რა სახელი ეწოდება ამას?

ვერც ნაციონალიზაციას ჩაჰბერა ის სიცხოველე, რომელიც საჭირო არის ასეთს საქმეში. მშვენიერს საილიუსტრაციო ნიმუშებს თვით რეალური სასწავლებელი იძლევა, სადაც დირექტორად ბ-ნი ალექსანდრე მდივანი ბძანდება, განათლების ყოფილი მინისტრის ამხანაგი და ფაქტიურად სამინისტროს სულის ჩამდგმელი. მიღებული წესით საადმინისტრაციო ადგილებიდან ყველა საქართველოს არა ქვეშევრდომი დაითხოვეს—ბ-ნს მდივანს კი, მეორე ინსპექტორად დღესაც ძველი ინსპექტორი ჰყავს. ასეთს პატივისცემას იჩენენ ჩვენი კანონმდებლობისადმი დიდი მოხელენი და რა მოეთხოვებათ პატარა კაცებს ან რა აზრისანი უნდა იყვენ იგივე რუსები ჩვენზედ? საერთოთ რეალურ სასწავლებელში რუსობას მზრუნველობა არ მოკლებია არც ქონებრივად, არც ზნეობრივათ—ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის მხრივ.. ვორონცოვ-დაშკოვის პორტრეტი თუ დღემდის არა, კარგა, ძალიან კარგა ხანს ესვენა საპატივსაცემო საყუდარზე.

რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ყოველ შემთხვევისათვის?..

ასეთი რწმენით და სიმტკიცით გატარებული გახლავთ ნაციონალიზაცია. სამინისტრომ ვერ გააცხოველა პედაგოგიური აზრი ჩვენში. პირიქით რაც იყო, ისიც ჩაჰქრა. ამ ერთი წლის წინეთ ქართველი საზოგადოება უფრო მეტს ცოცხალს ინტერესს იჩენდა ამ საკითხისადმი, ვიდრე უკანასკნელ წელს. ხელშემწყობი პირობები კი განათლების სამინისტროსა. უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვისათვის. უპირველესათ ყოვლისა იგი თავისუფალი უნდა ყოფილიყო იმ პარტიული ჟინიანობისა და საზოგადოებრივ აზრთა ბრძოლისაგან, რომელსაც ადგილი აქვს სხვა რეფორმებთან და მეორეც—მას მეტი ინტელიგენტური ძალები ჰყავდა.

ეს კეთილი მოვლენა სამინისტრომ იმდენათ გამოიყენა, რამდენათაც იგი ხელს უწყობდა ყველგან „დიდ ადგილებში" თავისი ხალხი ჩაეყენებინა მიუხედავათ პედაგოგიური და ეროვნული სკოლისათვის საჭირო სტაჟისა.

მაგრამ, ყველაფერი ეს ძალიან შორს არის იმ დიდს საქმიანობისაგან, რომელსაც გვიშლის ჩვენ ეროვნული სკოლის მოწყობა. ამაზე კი შემდეგ.

სანდროშვილი.

ქართული ჯარის ბედი.

ყოველ მხრივ უღონო ქართული სახელმწიფოს ნება, საკუთარ ბიუჯეტის მოგვარების შემდეგ, რომ საკუთარ რეგულიარულ სამხედრო ნაწილების შექმნაშიც არის, ამას დღეს გარდა უჯიათი გაბატონებული პარტიისა ყოველი ქართველი გრძნობს.

ერთად-ერთი იმედი, რომლის მეოხებითაც უნდა განმტკიცდეს ჩვენი დამოუკიდებლობა, არის არა იმ დაქირავებულ რევოლუციონერებში, რომლებიც „ერთობის" სიტყვით, რომ ვილაპარაკოთ უეჭველად უნდა წავიდეს რევოლუციის დროის წასვლასთან ერთად, არამედ იმ სახელმწიფოებრივ ნიადაგზე გაწრთვნილ, რეგულიარულ მილიტარულ ძალაზე, რომელიც მუდამ ერთგულ გუშაგათ დაუდგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვრებს და არა ერთხელ აღიჭურვება იმ თავდამსხმელთა წინააღმდეგ, რომელთაგან საქართველოს, ისე როგორც დღეს არასოდეს ექნება მოსვენება.

მაგრამ ქართველი ერის ბედის მმართველი პარტიის საქმიანობა, ჯარის საკითხში, დღეს ზემოხსენებულ „რევოლუციის მიერ წარმოშობილ, პოლიტიკურ მოღვაწეთა" ინტერესებზეა აგებული და არა რეგულიარულ სამხედრო ძალაზე.

მართალია სოციალ-დემოკრატიული პარტია, ჩვენი „უდღეო" (როგორც თვითონ ამბობს) ბურჟუაზიისადმი საკვირველ ორგანიულ მირთხმულობას იჩენს ამ უკანასკნელის მაგივრობის გაწევას გვპირდება, მაგრამ ერთხელ აჩემებულ ორსისტემიანობას ამ შემთხვევაში ვერა სცილდება და ეროვნულ ძალას მუდამ საფრთხეს უმზადებს.

და შედეგი ასეთი უენერგიეობისა ამ მხრივ არის ის, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი სხეული შეუბრალებლად იკვეთება ყოველმხრივ შემოსეულ მტრის შეიარაღებულ ძალთაგან.

ისე როგორც ჩვენი ბევრი სხვა დაწესებულება და ორგანიზაცია, ჩვენი ჯარი ჯერ კიდევ უცხო, რუსულ ყაიდაზე იმართვის და ჩვენი სამხედრო შტაბები საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებისაგან სრულიადაც არ იწმინდება.

ხოლო ერთგული საქმიანობა ამ ხალხისა ჩვენი უკვე ვიცით იმ ხშირი ეროვნული ომების პერიოდიდან, რომელიც თან დაჰყვა ჩვენს დამოუკიდებლობას. ქართული პრესა ხშირად აღნიშნავდა შედეგს იმ ფარულ მოქმედებისას, რომელსაც საქართველოს სუვერენობის ორგულნი ეწეოდენ და რომლის დროს ქართულ სამხედრო ნაწილებს პოზიციებზე საჭირო მასალა არ მიუდიოდა, ტელეგრაფის მავთულებს უჭრიდენ და კიდევ ზურგს უკან აჯანყებებს უწყობდენ.

ყოველივე ეს წარსულს ეკუთვნის და მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ ჩვენი მმართველები, ეროვნული ჯარის შედგენას განსაკუთრებულის ყურადღებით მოეკცეოდენ და მისი ბედი „ინტერნაციონალობისთვის" პატივცემულ დენიკინელს არ ჩაუვარდებოდა ხელში, მაგრამ ფაქტები სულ სხვას გვეუბნება და როგორც „სახალხო საქმის" თანამშრომელი Internus-ი გადმოგვცემს „ბევრ ყვენ სამხედრო შტაბებში დღემდე გრძელდება ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომელიც დაცინვაა ჩვენი საზღვრების დამცველთა მოვალეობის და თვით ჩვენი დამოუკიდებლობისა".

მანგლისის სანაპირო რაზმის უფროსი პოლკოვნიკი საგინოვი ხსენებულ რაზმის შტაბს დენიკინელ სტეპანენკო—კალესნიკოვ—ერმალინსკებით ავსებს. ბ-ნი საგინოვი, იმ დროს როდესაც ბრძანება არის ყოველივე საქმეები ქართულ ენაზე სწარმოებდეს, განკარგულებას იძლევა, რომ ყოველგვარი საქმეები რუსულ ენაზე იწერებოდეს. პატივცემული უფროსი პასუხსაგებ ადგილებზე განაწესებს ისეთ პირებს, რომლებმაც „არც ქართული ენა იციან, რომ ჯარისკაცებს რომ გააგებიოს და არც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა, რომ პასუხი აგოს თავის მოქმედებაში"..

და ყოველივე ამის შემდეგ ვკითხულობთ ჩვენ, ნუ თუ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ყოველ მხრივ ფართული მუშაობა დასასრულს არ უნდა პოულობდეს?

მაგრამ საშინელი სურათები, რომელიც ყოველ ქართველ პატრიოტს ეშლება ეროვნული მილიტარული ძალის ასეთი რღვევით, მარტო ამით არ განიზომება. საშინელი ქურდობა, რომელიც ასე ფეხ მომდგარია ქართულ სამხედრო ნაწილებში, მართლაც და ყოველივე იმედსა ჰკლავს დამოუკიდებელ რესპუბლიკის არსებობაში.

„დაწყებული პოლკის უბრალო ჯარისკაციდან და გათავებული პოლკის თუ ბრიგადის კომანდირებით ეზიდებიან საზოგადო ქონებას და ყოველი მათგანი ცალკ-ცალკე თავისთვის სახლში ცეიჰგაუზებს თუ საწყობებსა ხსნიან"-ო.

ასე მოგვითხრობს ქართულ ჯარში გამეფებულ „ლეგალურ ქურდობის" ამბავს იმავე „სახალხო საქმის" მეორე თანამშრომელი.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესები ეწირება იმ პოლიტიკას, რომელიც ქართული ჯარის შედგენას „რევოლუციის მიერ წარმოშობილ პოლიტიკურ მოღვაწეებით" და ენამახვილ პროპაგანდისტებით ლამობს.

ჩვენი ქვეყნის ბედი ეწირება იმ მოქანავე პოლიტიკას, რომელიც „სრული თავისუფლებისათვის" ქართულ სამხედრო შტაბებში ადგილს აძლევს ჩვენი დამოუკიდებლობის ნაღდ მტრებს და საჭიროებისა მების პრინციპიული მოწინააღმ[illegible] სტოვებს „ლეგალურ ქურდებს".

და ჩვენა გვგონია შედეგი ამ პოლიტიკისა იქნება ის რომ ყოველ მხრივ გაძარცული ქართული სამხედრო ძალა ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს იმ მორიგ შემომტევეთ, რომელნიც მრავლად მოიპოვებიან. ჩვენი ქვეყნის, როგორც შიგნით ისე გარედ და ჩვენი სუვერენობის ახლო პირველ-ყოფილებაში დაბრუნება არც თუ ისე გაჭირდეს.

ლ. კიკაბიძე.

ქართული პრესა.

„ერთმა" ოპოზიციის შესახებ

გაზეთი „ერთობა" სწერს:

„მთავრობის დეკლარაციის შესახებ დიდ იერიშებს ველოდით. ალბათ უფრო დიდი წარმოდგენის ვიყავით ოპოზიციებზე, ვინემ ის ნამდვილათ აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ ყოფილ პარლამენტში ასეთი „დიდი დღეები" ბევრათ უფრო ცხოველი და უფრო საინტერესო იყო ეს, რასაკვირველია, არ აიხსნება ოპოზიციის სიმცირით. სახელმწიფო დუმაში ოპოზიცია მეტად მცირე იყო, მარა მისი უბრალო გამოსვლაც კი ცეცხლს ანთებდა და თავის სიძლიერით, თუ შიგ არა, გარეთ მაინც დიდ გამოძახილს იწვევდა. ამის ერთი უმთავესი მიზეზთაგანი იყო ის, რომ დუმის ოპოზიცია მცირე იყო შიგნით, მარა უმრავლესობა გარეთ და ისიც თავის გამოსვლებით სწორეთ ამ მასას ელაპარაკებოდა. ამ მხრით ჩვენი ოპოზიციის ბედი ტრაღიკულია. შიგნით მცირეა, გარეთ არავინ უსმენს—ეს აციებს და ანელებს ოპოზიციას და ამიტომაც ის ასე უფერული და მკრთალი იყო. ასეთივე იქმნებ, ალბათ შემდეგშიაც.

პარლამენტის დროს ოპოზიცია ფიქრობდა, რომ მას უსმენენ; ის ელოდა არჩევნების დროს ამ ოპოზიციის შედეგს და აი, როცა გამოირკვა, რომ მას თურმე არავინ იზიარებდა, არავის არ იმხრობდა—ოპოზიციაც განელდა, დაიფერფლა და ოდნავ ბეჟუტავს. ამით აიხსნება ამ დღის ოპოზიციის სისუსტე და არა, რასაკვირველია, მისი პირადი შემადგენლობითო".

მიმართვა სამწყსოსადმი.

სრულიად საქართველოს საკათალიკოზ-პატრიარქ ლეონიდისა ინტრონიზაციის გამო.

მდაბალი ლეონიდი, ნებითა ღვთისაითა მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი, საქართველოს ეკლესიის ძეთა და ასულთა: მადლი თქვენდა და მშვიდობა ღვთისა მიერ მამისა ჩვენისა და უფლისა ჩვენისა ისესო ქრისტესსა!

ვიწყებ რა ღვთის შეწევნით ივერიის ეკლესიის მართვა-გამგეობას, სულის მოთხოვნილებად მიჩნს, პირველ ყოვლისა გაგახსენოთ თქვენ იესო მაცხოვრის უკვდავი სიტყვები: შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი (მათ. 22,37).

„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი",—აი უპირველესი თხოვნა ჩემი, ღვთივ დაცულო სამწყსო ჩემო! ღვთის სიყვარული და სასოება ნიშანდობლივ თვისებას შეადგენდა ქართველი ერისას თექვსმეტ საუკუნის განმავლობაში. ამ სათნოებამ მოუპოვა მას საპატიო ადგილი კაცობრიობის ოჯახში. მან გაფურჩქნა და ააყვავა მისი წარსული, რომლითაც ის სამართლიანად ამაყობს დღეს. საქართველოს დიდებული წარსული იმდენად პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ ფაქტორს არ შეუქმნია, რამდენადაც ღვთის მოსაობას, რომელმაც განასპეტაკა იგი ზნეობრივად, დააწინაურა გონებრივად და ლიტერატურულად და განავითარა ესთეტიურად, რასაც უხმოდ ღაღადებს დიდებულ არქიტექტორულ ნაშთებით მოქარგული მშვენიერი სამშობლო ჩვენი. ასე იყო ძველად, რას ვხედავთ დღეს? თუ წინათ, უცხოელთა მოწმობით, ქართველები ყველაზე უკეთესი ქრისტიანები იყვნენ, დღეს ყველაზე მეტად უარჰყოფენ ქრისტიანობასა და ეკლესიას. მართლაც და, დღეს მოიპოვებიან ჩვენში ისეთები, რომლებიც საჯაროდ აცხადებენ, რომ ქართველები საკმაოდ განვითარდნენ კულტურულად და ამიტომ არა სურთ სკოლაში ქრისტეს სჯულის შესწავლა, მათთვის მეტია ეკლესია-მონასტრები, რომელნიც ღღითი ღღე ინგრევიან, მათთვის საჭირო არაა მღვდელ-მონაზონნი, რომელნიც შიმშილით უნდა დაიხოცნენო. ვთქვათ, მართლაც წინ წავიწიეთ კულტურულად და გონებრივად, განა ამან ხელი უნდა აგვაღებინოს ღმერთზე და სჯულზე? ამ უკანასკნელ დროს ჩვენ ბევრი სსვადასხვა ხალხი ვიხილეთ ჩვენს მიწა-წყალზე, მათ შორის კულტურულსან ევროპის წარმომადგენელნი, როგორიც არიან პოლონელნი, გერმანელნი და ინგლისელნი; ესენი ყოველ კვირა-უქმე გულმხურვალედ და სასოებით ლოცულობენ და ეცედრებიან ღმერთს. ნუ თუ ჩვენთან შედარებით ისინი გონებრივად ჩამორჩენილნი არიან და სწავლა-განათლებით ჩვენ მათზე მაღლა ვდგავართ? არა, ეს ერთგვარი ცილის წამებაა: ურწმუნო და უღვთო კაცი კულტურულად ვერ დაწინაურდება, პირიქით მას გაველურება მოელის. ამიტომ გემუდარებით: შეიყვარეთ ღმერთი, ნუ დაივიწყებთ ქრისტეს მცნებას და სჯულს, რომლითაც საზრდოობენ ჩვენნი წინაპარნი, ეცადეთ იყოთ ღირსეული მოქალაქენი ზეციურ სასუფეველისა და მაშინ შეიქმნებით ბედნიერნი მოქალაქენი ამა ქვეყნიურ სამკვიდრობელისაცა.

„შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი",—აი მეორე თხოვნა ჩემი. „ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთ არს" (იოან. 13,35).

მოყვანილი სიტყვებით მზეებრი სიცხადით გვეუწყება რაც საკვალდებულო და აუცილებელია ყველა ჩვენგანისათვის მამაკაცი ვართ თუ დედაკაცი, ხნიერი თუ ახალგაზრდა, სწავლული თუ უსწავლელი. ქრისტეს ბრძანებაა: ჩემი მოწაფეობა, ჩემი მოძღვრების განხორციელება, ჩემი პიროვნების დაფასება და ნამდვილი პატივისცემა მხოლოდ იქაა შესაძლებელი და წარმოსადგენი, სადაც ურთიერთისადმი გულითადი სიყვარულია, სადაც თანხმობაა მოქალაქეთა შორის და ერთსულოვნობა გამეფებული, სადაც საზოგადოების თვითეულ წევრს გული უცემს მოძმეთა სამსახურისათვის, თავის მზგავსთა ბედნიერება-ამაღლებისათვის, სადაც თვითეული ღვიძლ ძმათაა მიჩნეული ყველასაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაშია ნამდვილი ქრისტიანობა, ამგვარი მიმართულების ცხოვრებით მოვიგებთ მაცხოვრის გულს და მხოლოდ ამ გზით განვამტკიცებთ ჩვენი ერისა და ქვეყნის კეთილდღეობას.

ასი წლის მძიმე მონობის ხუნდების ქვეშ ყოფნამ ჩვენი სამშობლო დააუძლურა, მოშალა, დააავადა და ყოველნაირად ჩამოაქვეითა. ჩვენ, მისმა შვილებმა, უნდა აღვადგინოთ და განვკურნოთ იგი, წელში გავმართოთ და მოვაღონიეროთ. ჩავბეროთ სული მარადისობისა, განვამტკიცოთ და ყველას ვაღიარებინოთ მისი დამოუკიდებლობა.

გარნა ეს იმდენად დიადი და აზრი თვისების შემოქმედეებაა, რომ შეუძლებელია მისი საწადელი წარმოება გარეშე მთელი ერის შემადგენლობის განუყოფელი და ხელი-ხელს ჩაკიდებული თანამშრომლობისა. ყოველი შუღლი და უთანხმოება მოქალაქეთა შორის ამ დიადი საქმიანობის ნიადაგზე, მოქალაქეთა გაყოფა და დანაწილება მოპირდაპირე ჯგუფებად ჩაგვეთვლება სამშობლოს ხელახლად წაქცევად, შიგნიდან ციხის გატეხად მტერთა გასახარელად. სამშობლოკ, ვითარ ქრისტე, დიდსა და პატარას გვემუდარება დღეს: „ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემი შვილები ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთარსო“.

ქრისტესა და სამშობლოს სახელით მოგმართავთ ჩემს სულიერ ძეთა და ასულთ: სამუთამოთ დამავალეთ, მყავთ „შვილთა ზედა სახარულევან მამად“, ყურად იღეთ ჩემი ვედრება: იყვარებოდეთ ურთიერთარს, მოიშორეთ და დაივიწყეთ ყველაფერი, რაც ერთი მეორეს გაძულებთ, ერთი მეორისაგან გთიშავთ, გაბრკოლებთ მამულის საკეთილდღეოთ შეთანხმებულად მუშაობაში, მოსიყვარულე შვილებად შეუდექით მხრებში სამშობლოს და დაარწმუნეთ მტრები და მოყვარენი, რომ საქვეყნო საქმეების გარიგებაში დიდსა და პატარას გაქვთ ერთი ენა, ერთი ნების ყოფა და ერთი მსოფლმხედველობა. იცოდეთ და გწამდეთ, რომ მარტოდ მარტო „სიყვარული აღაშენებს“ (აკორ. 8,1). დაე ამიერიდან თქვენი შეთანხმებული მოქალაქობით ჰსცნან ყოველთა, რომ ქართველებს გვიცოცხლნია და და ვიცოცხლობთ ღვთის სიყვარულით, რომ ჩვენ ვსუნთქავთ სამშობლოსა და მოყვასთა ბედნიერება-კეთილდღეობისათვის.

იყავნ, იყავნ!

კორესპონდენცია

პახეთიდან

ს. წ ი ნ ა ნ დ ა ლ ი.

ეს სოფელი სიმშვენიერით აღემატება ყველა სოფლებს კახეთისას. აქ არის ეროვნული სახელმწიფო (ყოფილი საუფლისწულო) მამული თაიგულივით გადაშლილ ბაღით, რომელიც ზამთარ ზაფხულ ყვავის, თავისკენ იწვევს სხვადასხვა მხარედან მნახველებს. მოდიან სანახავად თფილისიდანაც. თელავიდან ხომ ყოველ დღე არ აკლია მნახველი. უმეტეს ნაწილად ეს ხდება გაზაფხულობით, როცა თითქმის მთელი ბუნება ყვავის.

წინანდელი კულტურულადაც არაა ჩამორჩენილი სხვა სოფლებს. აქ არსებობს სამი პირველ დაწყებითი სასწავლებელი განზრახულია მომავალი წლიდან დაარსდეს ამ სოფლად ორკლასიანი სასწავლებელი ორივე სქესის ბავშვებისთვის. აგრეთვე არსებობს სამი წიგნთსაცავ სამკითხველო ორი ეროვნულ სახელ. მამულში და ერთიც სოფლად. სოფლის სამკითხველო არის დაარსებული ადგილობრივ ინტელიგენტ მოწაფეთა-მიერ, რომელიც დიდს როლს თამაშობს სოფლის კულტურულად განვითარებაში. იგი ზაფხულობით როცა კი უბრუნდება თავის სოფელს მართავს ხოლმე წარმოდგენებს. ამ წარმოდგენების შემწეობით არის ეს სამკითხველო დაარსებული.

სამკითხველოში მკითხველები მრავლად დაიარება და იმედია, რომ სოფლის სამკითხველო არ ჩამორჩება იმ ორ სამკითხველოს, რომელნიც გამართულია სახელმწიფო მამულში და რომელნიც გაცილებით უფრო მდიდარნი არიან.

პოლიტიკური მომზადებით, ისე როგორც ყველგან ჩვენში, წინანდალიც ჩამორჩენილია. ამას განსაკუთრებით ხელს უწყობს სოციალ-დემოკრატიული კომისრებისა და მილიციის შიში. ეს ვაებატონები განსაკუთრებულ ერთგულებას დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს იჩენდენ და ყველას პირველ ნომრისკენ იხმობდენ, მაგრამ იმედი გვაქვს ხალხი მერყეობიდან გამოვა და სოფელში სოციალ-დემკრატებს ადგილი არექნება.

ხალხს ვუხსნით ჩვენს მიზანსა და მისწრაფებას. მუშაობა სწარმოებს. კერძო საკუთრების უაღრესად დამცველ ჩვენ სოფლელებში ჩვენი მუშაობა გამოხმაურებას პოულობს.

გ. ჰიაურელი.

საქართველოს ამბები.

გვარდიის ყეენობა.

ხონში დაარსდა ხონის რაიონის სახალხო გვარდიელთა შტაბი, რომლის მიერ მარტის 2 მოწყობილ იქმნ ყეენობა ხსენებულ შტაბის სასარგებლოდ სხვადასხვა შემოწირულებათა შესაკრებად.

დღესასწაულები გურიაში.

მიუხედავათ ათასგვარი გაჭირვებისა და ხშირი სიმძვიდილისა, ახალი წლის დღესასწაულები გურულებ-უჩვეულო მხიარულებით გაატარეს. მხიარულების წინაღმდეგი ვინ იქნება, მაგრამ ფრიად სამწუხაროა, რომ ეს გართობა მტრის ფრონტს მოგაგონებდა,—15 დღე განუწყვეტელი სროლა იყო. წარმოიდგინეთ ზოგიერთ სოფლებში სროლას სულ ვერ ბედავდნენ. ქ. ოზურგეთში და მის არე მარეში კი ყურთა სმენა და მოსვენება აღარ იყო. იანვარში ქ. ოზურგეთში ერთ სამწუხარო ამბავსაც ჰქონდა ადგილი: ქალაქიდან შეიარაღებულმა ახალგაზდებმა გაიტაცეს სკოლიდან სახლში მიმავალი მოსწავლე ქალი. ასეთმა თავხედობამ ყველა აღელვა... მდევარიც გამოუდდა, მაგრამ ამაოთ.

იტალიანური სავაჭრო ფირმის წარმომადგენლები თბილისში.

თბილისში ჩამოვიდა იტალიანური სავაჭრო ფირმების წარმომადგენლები, საქართველოსთან დამოკიდებულებათა შესაქმნელათ.

ილია წინამძღვარიშვილის მდგომარეობა.

სამეურნეო ცოდნის ვეტერანი, ქართველ მოღვაწეთა შორის ცნობილი, წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის დამაარსებელი, ილია ივანეს ძეს წინამძღვარიშვილი მოკლებულია სასმელ-საჭმელს და სითბოს, გაჭირვებულია 80 წლის მოხუცი“.

გარნიზონის უფროსის განცხადება.

სამხედრო მინისტრის გრძანების თანახმად ეცხადრბ, რომ ყველა ოფიცრები, რომლებიც თავის სახელწოდების შეუფერებლად, ატარებენ აფიცრის ფორმას და არ არიან სამხედრო სამსახურში და არც სამსახურში ყოფნის მოწმობები აქვთ, დაჭერილ იქნებიან და ყოველგვარი უწესოების და „სკანდალის“ ჩადენისათვის დამნაშავენი დათხოვნილ იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის ჯარებში სამსახურიდან. თფილისის გარნიზონის უფროსი გენ. მაიორი **მაყალაშვილი**.

შორაპნის ერუგის გარშემო.

შორაპნის სოც. დემ. სამაზრო კომიტეტმა გადასწყვიტა შემდეგი: ვინაიდან ერობის დღევანდელი შემადგენლობა სავსებით შეუფერებელია უმაღლესი ორგანოსთვის, მოხდეს შემადგენლობის გადახალისება, სოც. ფედერალისტთა ფრაქციასთან გაიმართოს მოლაპარაკება, რომ ჩვენს ფრაქციას გამგეობაში ექნეს სამი ადგილი, ფედერალისტებს ორი, ნაციონალ-დემოკრატებს არც ერთი ადგილი. წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვახდენთ ახალ არჩევნებს, რაც უნდა ძნელი იყოს ეს ჩვენი პარტიისათვის. წინადადება მიღებულ იქმნა, რათა სასწრაფოდ გამოირკვეს ეს საქმე.

უცხოეთის ამბები

სააგენტოს ტელეგრამები

საფრანგეთი და ინგლისი.

ინგლისის თემთა პალატაში მუშავდება პროექტი ინგლისისა და საფრანგეთი არხის ქვეშ გაყვანილ გვირაბით შეერთებისა. მატარებელი ლონდონიდან პარიზამდი 6 საათს იკლის.

კოტენი სასამართლოს წინაშე.

კოტენი, რომელიც კლემანსოს მოკვლას შეეცადა, უკვე წარსდგა სასამართლოს წინაშე. სასამართლოს მსვლელობა დიდ ინტერესს იწვევს.

ლიმან-ფონ-სანდერსის დატყვევება.

გენერალი ლიმან-ფონ-სანდერსი დატყვევეს გზაზე გერმანიისკენ მიმავალი. მას მოიყვანენ კონსტანტინოპოლში, სადაც წარსდგება სამსჯავროს წინაშე.

ლენინის და ტროცკის ონები.

გამოირკვა, რომ ლენინი და ტროცკი მოკავშირეთა მოტყუილებას ფიქრობდენ, როცა სახელმწიფო საბჭოში თავიანთ ამხანაგებს არწმუნებდნენ, რომ მიეღოთ წინადადება პრინცის კუნძულებზე მოლაპარაკებისა. მათ წარადგინეს ხელსაყრელი საზავო პირობები იმ იმედით, რომ დროებითი ზავი გადამწყვეტ ბოლშევიკურ შეტევისათვის გამოიყენებია.

ბრეშკო-ბრეშკოვსკის აგიტაცია შეერთებულ შტატებში.

ბრეშკო-ბრეშკოვსკაია დღიდან შეერთებულ შტატებში ჩასვლისა მხურვალე აგიტაციას ეწევა ბოლშევიზის წინააღმდეგ. თავის მოწოდებებში იგი მოითხოვს დემოკრატიულ საფუძველზე აგებულ რუსეთს.

ბელგიის მხატვრულ ნაწარმოებთა ბედი.

მხატვრული ნაწარმოებები, რომელნიც დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ ბრიუსელში იმყოფებოდა და გამზადებული იყო გერმანიაში გასაგზავნად დაუბრუნდა თავიანთ პატრონებს. ლიმა, ლაონმა და ვალანსიემ და ბევრმა სხვა ქალაქებმა, რომელნიც დაპყრობილ იყო გერმანელების მინრ. მიიღო უკან ბევრი ხელოვნური ნაწარმოები, რომელნიც მათ ეკუთვნოდათ.

გერმანიის ავიაცია.

ინგლისურმა უმაღლესმა სამხედრო საბჭომ, რომელმაც განიხილა საკითხი გერმანიის ავიაციისა, გადასწყვიტა: გერმანიას არ ეყოლება არც ერთი ესკადრილია სამხედრო აეროპლანებისა.

საზავო კონფერენცია.

საბავო კონფერენციაზე, რომლთა საბჭოში, თავი იჩინა უთანხმოებამ. ინგლისელები მზად არიან მოლაპარაკება გამართონ რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან. საფრანგეთი და იტალია კი წინააღმდეგია.

ვილსონის ბედი.

მიღებულია განსაკუთრებული ზომები ვილსონისა და იმ სახელმწიფოთა პრემიერების დასაცავათ, რომლებთანაც იგი ერთი კვირაა ბჭობს.

მოკავშირენი და გერმანია.

მოკავშირეთა საექსპერტო კომისიამ გადასწყვიტა: გერმანიის მიერ მოკავშირეთადმი მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად, გერმანიამ უნდა გადიხადოს 8 მილიარდი გირვანქა სტერლინგი.

ლატიშები და ბოლშევიკები.

როგორც გაზეთი „ციდერინგერი“ იუწყება ლატიშთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს მინისტრი ულმანი, ჩავიდა კოენოში, რომ მოლაპარეკება გამართოს ლიტველებთან, რათა საერთო ძალით გამოვიდენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ფიქრობენ მოლაპარაკება დადებით შედეგებს მოიტანს.

ქართველები ოსმალეთის მთავრობაში.

თფილისში უკანასკნელად მიღებულ სტამბოლის ფრანგულ გაზეთ „stambol“-ში მოყვანილია შემადგენლობა ოსმალეთის ახალ კაბინეტისა, რომელშიაც 2 ქართველი მაჰმადიანია. კაბინეტის შემადგენლობა ასეთია: დამად. ფერიდ-ფაშა—დიდი ვეზირი საბრი-ეფენდი—შეიხ ულ ისლამი გენერალი აბალ-ფაშა (ჩერქეზი)—სამხედრო მინისტრი, მარშალი შაქიან-ფაშა (ქართველი, მარადიდელი)—საზღვაო მინისტრი. ჯემალ ბეიშინაგან საქმეთა მინისტრი, ისმაილ-სიდკი-ბეი—იუსტიციის მინისტრი. აბდულ-ყადილ-ეფენდი, სენატორი—სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარე. ალი, ჯემალ-ბეი—განათლების მინისტრი გენ. ავნი-ფაშა ლორთქიფანიძე, (ქართველი)—საზოგადო სამუშაოთა მინისტრი, ედჰემ-ბეი—კომერციის (ვაჭრობის) მინისტრი, მემედ-ალი-ბეი—ფოსტის მინისტრი.

გორჯომის მამულის რევიზია

იმ მოხსენებაში, რომელიც სახელმწიფო კონტროლიორმა ბ-მა ფილიფე გოგიჩაშვილმა წარუდგინა დამფუძნებელ კრებას აღნიშნულია დაწვრილებით ბორჯომის მამულის რევიზია; მოგვყავს ეს ალაგი მოხსენებისა სიტყვა სიტყვით:

„**ბორჯომის მამული**. ყოფილ ამერკავკასიის სეიმის 1918 მარტ. 7-ს გამოცემულ კანონით 197 ნომრით დიდი მთავრის ნიკ. მიხეილის ძის კუთვნილი ბორჯომის მამული სახელმწიფოდ ჩაირიცხა და მიწ. მოქმ. საქმეთა კომისარს დაეალა ამ მამულის ჩაბარება და დროებით გამგებლობა. კომისარმა 10 მარტს მიმართა მოქ. შალვა იოსელიანს ჩაებარებინა მამელი, როგორც კომისიის თავმჯდომარეს, რომლის წევრებად იმავე კომისრის მიერ დანიშნულ იყვნენ გრიგოლ ურუშაძე და ავქსენტი ჩხეიძე და კომისიაში დროებით მოწვეული მეტყევე სოკრატ ამაშუკელი.

მამულის შემოწმება მოხდა 4—18 სექტემბერს. მამულს განაგებდა კომისია სამი პირისაგან შემდგარი: ბ. იოსელიანი, ურუშაძე და ახალაძე. დებულება ან შტატი კომისიის მოქმედებისათვის არ შემუშავებულა, არავის გამოუცია ინსტრუქციები კომისიის სახელმძღვანელოდ. კომისიამ გადაიყენა ვინოგრადოვი და სხვა რამდენიმე თანამდებობის პირი. მამულის გამგებლობა ჩააბარა მიმღები კომისიის წევრს ურუშაძეს ოფიციალურად ვინოგრადოვისაგან თანამდებობა და საქმეები არ ჩაუბარებია ურუშაძეს. მამულის ხაზინაში მიღებას აწარმოებდა კოიმსიის თავმჯდომარის შ. იოსელიანის ხელმძღვანელობით თვით კომისიისგანვე დანიშნული 17 პირი, რომელთაც გარდა კომისიის წევრებისა 8000 მან. მეტი ჯამაგირი ეძლეოდა თვეში.

როგორც კომისია, ისე მისგან დანიშნული ქვეკომისიის წევრები ჯამაგირს ღებულობდნენ ბორჯომის მამულის თანხიდან. შ. იოსელიანი ჯამაგირს ამ მამულის შემოსავლიდან არ იღებდა. კომისიისა და ქვეკომისიის წევრების, მამულის დამცველ მფრინავი ოზმის და აგრარულ კომისიის შენახვა 1918 წ. 1 სექტემბრიდან ხაზინას დასჯდომია 122,843 მ. აქედან ქვეკომისიის წევრებს მიუღიათ სალიკვიდაციო დახმარების სახით 8750 მან. და ავანსად 17,707 მ. სალიკვიდაციო დახმარება მიუღიათ ქვეკომისიის ისეთ წევრებსაც, რომელნიც შემდეგ იმავე მამულში შეულან სამსახურში. ავანსები მისეთ პირებსაც, რომელიც სქვეკომისიის წევრებათ გაუგებრობით იყვნენ ჩარიცხულნი მაგ. ვინმე გეგეჭკორი, მიღებული წევრად, როგორც ქართულ კულტ. ტეხნ. საზ. წარმომადგენელი, მას მიეცა ჯამაგირად 1013 მან. 80 კაპ. და ავანსად 1000 მან.

მამულის უმთავრესი დარგნი სამეურნეო გამგებლობაში იყო და მათი ექსპლოატაცია ხდებოდა ოჯახური წესით. იჯარით იცემოდა მხოლოდ მიწები აგარაკებად, საძოვრად და სათიბად და ზოგიერთი შენობები სასტუმროებად დუქნებად და სხვა.

თვიურმა ხარჯმა მოსამსახურეთა შესანახად ივლისში 100,000 მ. აიწია სახერხავ და შუბის ქარხნებისა და მინერალურ წყლის საექსპორტო განყოფილების ოსტატებისა და მუშების ჯამაგირზე ივლისში დაიხარჯა დაახლოებით 130,000 მან.

მსახურთ ჰქონდათ უფასო ბინები, გათბობით და განათებით. ეძლეოდათ დახმარება შვილების აღსაზრდელათ და პენსიები სხვადასხვა შემთხვევისა გამო.

მამულის ყველა მსახურთა რიცხვი, მათ შორის ბორჯომის კომისარიატის მილიციონერებისა, ეკლესიებისა და სხვა, რომელთაც ჯამაგირი მამულის თანხიდან ეძლეოდა, 400-მდე ითვლებოდა, გარდა ქარხნების მუშებისა, და მათ შესანახად წლიური ხარჯი 2 მილიონ მანეთამდე აღწევდა, როდესაც მამულის ყველა დარგისათვის 1917 ჭ მხარჯთაღრიცხვით გამოანგარიშებული იყო 1,370,378 მან. მამულის 1917 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში არ შემდგარა;

1918 წ. ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი იყო სამინისტროში 1918 წ. 23 აგვისტოს, ადგილობრივ ამ ხარჯთაღრიცხვის არც პირი. არც შავი არ აღმოჩნდა და გაუგებარია, რით ხელმძღვანელობდა ადმინისტრაცია თვის მოქმედებაში განსაკუთრებით არეული აღმოჩნდა წყლების ექსპორტის კანტორის ანგარიშები: წყლების გადასხმა-გადმოსასხმელი და ჩასალაგებელი მასალის შემოსავალ-გასავალი არაა გატარებული 1917 წ. დავთრებში, საბუთები არეულია. კონტროლმა შეადგინა ოქმი. 1918 წ. 17 სექტემბრის.

ბორჯომის მამული ეყრდნობა ორს ბუნებრივ სიმდიდრეს მინერალური წყლები ეკატერინისა და ევგენის სახელწოდებისა თავისი სამკურნალო თვისებებით უბადლოა მთელს კავკასიაში და საზღვარ გარედაც სახელგანთქმულია.

ეკატერინეს წყარო დღეში 6,500 ვედრ. იძლევა, ევგენისა 1,680 ვედ.

მათ ექსპორტს შეიძლებოდა წელიწადში 20 მილიონამდე მიეღწია.

1914 წ. 9 მილ. ბოთლი გასაღდა,
1915 წ. 7½„
1916 წ. 6½„
1917 წ. 3 მილ. ბოთლი.

მოსალოდნელია, რომ რაც უფრო აიწევს წყლის ფასი მით უფრო შემცირდება მისი ხმარება.

მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ ქებაძესთან დადებულ პირების თანახმად, ბორჯომის წყალი უნდა მიეყიდოს მხოლოდ დასახლებულ კონტრაგენტს, რომელიც ვალდებულია გაიტანოს 1 წლ. განმავლობაში არა ნაკლებ 3 მილ. ბოთლი წყლისა.

გამზადებულ ყუთებში ჩალაგებულ და ბორჯომ ქალაქამდე მიტანილ ბოთლ წყალში ქებაძე აძლევს ხაზინას 1 მ. 30 კაპ. ნახევარ ბოთლში კი 1 მან. 20 კაპ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თითო ბოთლის გაკეთება ხაზინას უჯდება 1 მ. 15 კაპ. ზემორე აღნიშნული წლის ფასი უნდა ჩაითვალოს **საზარალოდ ხაზინისათვის**.

ეხლანდელი გართულებული მდგომარეობაში ძნელია ხელშეკრულობის აღსრულება, როგორც ხაზინის კონტრაგენტის, ისე თვით ხაზინის მიერ. პირველისთვის ხელის შემშლელია ბაზრის და მომხმარებელთა შემცირება, ხოლო ხაზინისათვის შუშის ქარხნის გაჩერება, სიმცირე ჩასაღაგებელ და დასაცობ მასალისა, მანქანების წასასმელ მინერალურ ზეთის ნაკლებობა, რასაც მამულის სხვა ქარხნებიც, ერთ ერთ მანქანის გაფუქება, რომელთა შეკეთება ფერხდება საჭირო სპეციალისტთა უყოლობით. თუ ეს მიზეზი არ ავაშორეთ, შესაძლებელია წარმოების სრული შეჩერება.

საცობი მასალა, მაგალითად პრობკები, მაგრამ ლურსმანი იკმარებს ძალიან ცოტა ხანს.

ადმინისტრაცია ბორჯომის მამულისა ხაზინის აშკარა, სახარალო და დაუზოგველათ ჰყიდდა აღნიშნულ მასალას.

მაისში ადგილობრივ ვაჭარ სპეკულიანტს ვინმე ქებარიძეს მიჰყიდეს 60,000 მან. პრობკა, ჯანაეგს 1,300 მან. თითო 10 კაპეიკად მამულის მუშებს კუთვნილი 200,000 მან. ნაცვლად მისცეს 200,000 ცალი პრობკა იმავე ქებაძეს 300 ყუთი ლურსმანი 19,000 მან. ფუთი 65 მანეთად.

დეკანოსიძეს 2 ყუთი 130 მან. ივლისში გაიყიდა 76 ფუთ. ლურსმანი 650 მან. შემდეგ 132 ფუთი ლურსმანი 13,200 მან. აქედან ერთი მილიონი პრობკა მიყიდეს იმავე ქებარიძეს, 100,000 ცალი ქელიძეს 20 კაპ. თითო, და 5,000 მგელაძეს 600 მან. თითო 12 კაპ. მაშინდელი ფასი პრობკისა თფილისში იყო 30-40 კაპ. ხოლო ლურსმანისა 200-300 მან. იყიდებოდა საუკეთესო მასალა, უვარგისს იტოვებდნენ მამულისთვის.

იყიდებოდა აგრეთვე ძროხები, ცხენები, ეტლები და სხვა.

მინერალური წყლის ექსპორტი მჭიდროდ დაკავშირებულია შუშის ქარხანასთან. ამ ქარხანამ მაზუთის უქონლობის გამო 1918 წ. აგვისტოში შესწყვიტა მუშაობა და გაჩერდა.

აბოლო დროს ქარხნის სამ ღუმელში დროგამოშვებით მოქმედებდა მხოლოთ ერთი, მეორე დაშლილია და მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას, მერმე კი მაზუთის უქონლობის გამო 1917 წლის თებერვლის 26 ჩაჰქრა

ბორჯ—ის მამ—ლის გამგეობაში ქარხანა გადავიდა 1917 წ. დასაწყისში წინეთ ის იჯარით აღებული ჰქონდა **ბერგმანს** მან 1905 წ. გადასცა იჯარით მამული მალიშევს, ქარხანა უკანასკნელ წლებში ზარალობდა, მალიშევი იძულებული გახდა იჯარაზე უარი განეცხადებია. ხელშეკრ—ბის ძალით, ბერგმანი ვალდებული იყო ეძლია მამულისთვის თითო ბორჯომის ბოთლი 5 კაპ. ხელშეკრულობის ვადის გასვლის შემდეგ 1928 წ. ყოველი შენობა უსასყიდლოთ უნდა გადასცემოდა მამულს. ქარხ—ბის წლიური შემოსავალი უდრიდა 40—50 ათას მანეთს, თუ ვანგარიშებთ 6 მილ ბოთლის დამზადებას.

მამულის გამგებლობის გადასვლის შემდეგ ქარხნის წარმოების ხარჯები კი ძალზედ გადიდდა.

1916 წ. ბოთლის ფასი დაახლოვებით იყო 7, 5 კ. ქარხნის გადასვლის შემდეგ მამულის გამგეობაში ამ ფასმა 13 კაპ. აიწია, მერე-28 კაპ. და ბოლოს 1918 წ. აგვისტოში ავიდა 91 კაპ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ზარალს, რომელიც გამოიწვია 26 თებერვ. 13 ივნისამდე ქარხნის გაჩერებამ, მაშინ ბოთლის ფასი აიწევს 1 მ. 10 კაპ. 1 მან. 15 კაპ. 1918 წ. ივლისში ქარხნის მუშებს და მოსამსახურეებს მიეცათ ფული უსაქმო დღეების ანგარიშში. გასულ წლის 26 თებერვლიდან 1 აგვისტომდე საერთო ზარალი ქარხნის გაჩერებისაგან გამოწვეული, უდრის 281,960 მან, რომელიც მიეცათ მუშებს უსაქმო, დღეებისთვის. ივნისში მამულის ყველა მუშებს და მოსამსახურეებს სიძვირის გამო ძირითად ჯამაგირებზე და ხელფასზე დაემატათ 100 მან. თვიურად. ენკენისთვეში მუშებმა და ხელოსნებმა მოითხოვეს ახალი მომატება 160% და ღიღურმა მუშებმა 200 მან. თვეში სიძვირისათვის.

თუ მივიღებთ მხედველობაში ისეთ გართულებულ მდგომარეობას და მასთანვე ქარხნის მაზუთით უზრუნველყოფის გამოურკვევლობას, მიზან შეწონილად უნდა ჩაითვალოს დროებით ქარხნის სრული ლიკვიდაცია.

მამულის ადმინისტრაცია არ ცდილა დროზე გამოძებნოვს კაპიტალურ შეკეთებას, მერმე კი მაზუთის უქონლობის გამო 1917 წლის თებერვლის 26 ჩაჰქრა

ბორჯ—ის მამ—ლის გამგეობაში ქარხანა გადავიდა 1917 წ. დასაწყისში წინეთ ის იჯარით აღებული ჰქონდა **ბერგმანს** მან 1905 წ. გადასცა იჯარით მამული მალიშევს, ქარხანა უკანასკნელ წლებში ზარალობდა, მალიშევი იძულებული გახდა იჯარაზე უარი განეცხადებია. ხელშეკრ—ბის ძალით, ბერგმანი ვალდებული იყო ეძლია მამულისთვის თითო ბორჯომის ბოთლი 5 კაპ. ხელშეკრულობის ვადის გასვლის შემდეგ 1928 წ. ყოველი შენობა უსასყიდლოთ უნდა გადასცემოდა მამულს. ქარხ—ბის წლიური შემოსავალი უდრიდა 40—50 ათას მანეთს, თუ ვანგარიშებთ 6 მილ ბოთლის დამზადებას.

მამულის გამგებლობის გადასვლის შემდეგ ქარხნის წარმოების ხარჯები კი ძალზედ გადიდდა.

1916 წ. ბოთლის ფასი დაახლოვებით იყო 7, 5 კ. ქარხნის გადასვლის შემდეგ მამულის გამგეობაში ამ ფასმა 13 კაპ. აიწია, მერე-28 კაპ. და ბოლოს 1918 წ. აგვისტოში ავიდა 91 კაპ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ზარალს, რომელიც გამოიწვია 26 თებერვ. 13 ივნისამდე ქარხნის გაჩერებამ, მაშინ ბოთლის ფასი აიწევს 1 მ. 10 კაპ. 1 მან. 15 კაპ. 1918 წ. ივლისში ქარხნის მუშებს და მოსამსახურეებს მიეცათ ფული უსაქმო დღეების ანგარიშში. გასულ წლის 26 თებერვლიდან 1 აგვისტომდე საერთო ზარალი ქარხნის გაჩერებისაგან გამოწვეული, უდრის 281,960 მან, რომელიც მიეცათ მუშებს უსაქმო, დღეებისთვის. ივნისში მამულის ყველა მუშებს და მოსამსახურეებს სიძვირის გამო ძირითად ჯამაგირებზე და ხელფასზე დაემატათ 100 მან. თვიურად. ენკენისთვეში მუშებმა და ხელოსნებმა მოითხოვეს ახალი მომატება 160% და ღიღურმა მუშებმა 200 მან. თვეში სიძვირისათვის.

თუ მივიღებთ მხედველობაში ისეთ გართულებულ მდგომარეობას და მასთანვე ქარხნის მაზუთით უზრუნველყოფის გამოურკვევლობას, მიზან შეწონილად უნდა ჩაითვალოს დროებით ქარხნის სრული ლიკვიდაცია.

მამულის ადმინისტრაცია არ ცდილა დროზე გამოძებნოს მაზუთი, ამ ბოლოდ შეუდგა მუშების დასაკმაყოფილებელ სალიკვიდაციო ანგარიშების შედგენას, როდესაც დაიხარჯა უკანასკნელი ფუთი მაზუთი. ეს დაგვიანება ხაზინას დაუჯდა არა ერთი და ორი ათი-ათასი მანეთი, ვინაიდან ქარხ—ში მომუშავეთა რიცხვი 200 კაცს აღემატება.

ბორჯომის მამულს გეგმის მიხედვით უჭირავს 69,063 დესიატინა ადგილი, აქედან ტყეს უკავია დაახლოებით 29,000 დესიატინა.

ბორჯომის მამულის სატყეო მეურნეობა, თუ კი ის რაციონალურად იქნება დაყენებული შეიძლება გახდეს მეტად სარგებლიან დამოუკიდებელ წყაროდ და ხაზინას დიდი შემოსავალი მისცეს. ყოველ წლიურად შეიძლება მოიკრას 2,800,000 კუბიკური ფუტი ხე-ტყე, მქედან საშენი ის მასალა 1,700,000 კუბ. ფუტი და შეშად 1,700,000 კუბ. ფუტი, ანუ 3,200 კუბ. საჟენი მეტი.

სატყეო მეურნეობას სათავეში უდგია ექვსი სატყეო ამგეობა, რომლის შტატი 114 კაცისგან შესდგება. ამ უკანასკნელთა ჯამაგირებზე თვიურათ იხარჯება 27,000 მან მამულში 2 მომუშავე სახერხი ქარხანაა ბორჯომისა და სუმბატოვისა (ესამე ქარხანა საკაჭაკეში ალარ მუშაობს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯ—ის ქარხანა მოწყობილია ყველა საჭირო მანქანებით და დაზგებით და სამყოფია როგორც ბორჯ—ის მამ—ის, ისე ბორჯ—ის ზევით და ახალციხის მაზრაში მდებარე სახაზინო სამფლობელოს ხე-ტყის დასამუშავებლად. ყუდოების და საშენ ხე-ტყის მასალის წარმოების გარდა ბორჯ. ქარხანაში მოწყობილია ბორჯ. წყლის ბოთლებისათვის ჩასაფენ ბურბუშელის დასამზადებლად, მასშივეა საკასრო (ბოჩკის) განყოფილება კასრების დასამზადებლად, მოწყობილია აგრეთვე **სკიპიტარის და კანიფოლის** წარმოება, რომელსაც შეუძლია წლ—რად მოგვცეს 1,000 ფუთი სკიპიტარი და 4—5 ათასი ფუთი კანიფოლი, არის აგრეთვე სარეზონანსო წარმოება, რაიც მდგომარეობს მუსიკალურ ინსტრუმენტებისათვის საჭირო ფირფიტების (დაფების) განსაკუთრებით ჯიშის ფიქვის ხისაგან.

ნაკერჩხლი—**შაქრის** წარმოების დაწყების განვითარების სრული შესაძლებლობაა. მამულში იყო აღნიშნული წარმოების ცდა, რის შედეგიც დიდათ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ქაღალდის წარმოების დაწყებაც შესაძლებელია.

ბორ—ის მამ—ლის სატყეო მრეწველობის დარგთა მოკლე ჩამოთვლითაც ნათლად სჩანს, თუ რა დიდი მხიშვნელობა აქვს მამ—ლის სატყეო მეურნეობას სახელმწიფოსთვის, როგორც ერთად-ერთ კულტურულ სატყეო მრეწველობის ცენტრს მხარეში და რამდენად შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა ხაზინისთვის, რომ საქმე სათანადოდ ყოფილიყო დაყენებული. კონტროლს კი ბორჯომის სატყეო მეურნეობა დაუხვდა დაცემული და ჩაფუშული.

გლეხთა მიერ თვითნებობის ტყის ჭრამ მიიღო საშიში ხასიათი, უკვე მოჭრილია ტყე სივრცით 1000 დესეტინამდე. ტყეებს არამც თუ სჭრიან, ანადგურებენ ცეცხლითაც ახოს საკეთებლად საჭონლის თვითნებურად საძოვრად ტყეებში გაშვება სპობს ყლორტებს. რითაც დიდი ხანია მოსდის მამულის ტყეებს. რეზონანსისათვის საჭირო ფიჭვის—ყავრად და სახლისათვის სხვადასხვა ნივთების დასამზადებლად ჭრა თითქმის სპობს ამ ფრიად საჭირო ხის ჯიშს.

სკიპიდარ-კანიფოლის წარმოება შესწყდა. ვინაიდან იმ ადგილებში, სადაც ეს წარმოება იყო, ლტოლვილთა შემოსევამ გაანადგურა ყველა საჭირო მოწყობილებანი, დაიტაცეს ფისის შესაკრებად მომართული თუნუქის ჭურჭლები. წარმოების სხვა ადგილზე გადატანისთვის, მამულის ადმინისტრაციას არ უზრუნვია. ნედლ მასალის უქონლობის გამო ქარხნების დაკეტვა მოსალოდნელია დღეიდღეზე.

საქმე ის არის, რომ ბორჯ. მამულის გლეხები ყოველთვის სცდილობდნენ ჩაეგდოთ ტყე ხელში პირდაპირ სხვაზე გასაყიდათ. წინათ ეს აკრძალული იყო და გლეხებსაც ხე-ტყე მიჰქონდათ მამულის სახერხ ქარხნებში.

როდესაც აღნიშნული აკრძალვა ტყეზე აიხსნა, გლეხებმა ტყე ჩაიგდეს ხელში სპეკულიაციურ გაყიდვის დასაწყებად, ხოლო ქარხანაში ხე-ტყის მიტანისთვის იმდენად დიდი ფასი მოითხოვეს 2 მან. 60 კაპ. კუბ. ფუტზე, რომ ქარხნის მუშაობა ან უნდა შეჩერებულიყო ზარალიანობის გამო ან და აწეულიყო დამუშავებული ხე-ტყის ფასი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გასაყიდი ხე-ტყის ფასი აწეულია 4 მ. 50 კაპ. კუბ. ფუტზე და ეს მშვიდობიან დროის ფასთან შედარებით 20-ჯერ გადიდებულია, ძნელი დასაშვებია შემდეგში ამ ფასის კიდევ გადიდება, რადგანაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში თვით ხაზინა დაადგებოდა სპეკულიაციურ და სახელმწიფოსათვის დიდ მავნე გზას.

ხე-ტყის თავისუფალი ვაჭრობის დაშვების ცუდი შედეგი სატყეო მეურნეობისათვის არის კიდევ იმაში, რომ გლეხები არჩეულ საუკეთესო ხე-ტყეს ყიდიან სპეკულიატიურ მიზნით, სახაზინო ქარხნებში კი მოაქვთ მეორე ხარისხოვანი უვარგისი ნარჩევი ხეები.

მამულის მმართველისა და გლეხებ შორის შექმნილ არა სასურველ ურთიერთობის ერთ-ერთ მიზეზად სამართლიანობა მოითხოვს დავასახელოთ ის გარემოება, რომ გლეხები ხე-ტყის მიტანის ქირის მიღება კონცელიარული გაჭიანურებისა და მამულში თავისუფალ თანხების უქონლობის გამო სისტემატიურად უგვიანდებათ.

მეორე ფაქტორი, რომელიც სატყეო მრეწველობის საქმეს ძირშივე შლის, ეს ქარხნის მუშათა შრომის ნაყოფიერების ძალზე დაწევაა, რაც შედეგია მუშათა კომიტეტების ქარხნის მართვის საქმეში ჩარევისა, უმთავრესად კი სასურსათო კრიზისის გამო.

მამულის ბალნეოლოგიური განყოფილება ეკუთვნის სამეურნეო დაწესებულებათა იმ რიგს. რომელთა შენახვა მეტი ჯდება შემოსავალზე. 1918 წ. სეზონში 7 ენკენისთკემდე მინერალურ პარკში შესვლისა და ვანებით სარგებლობის ფასად შემოვიდა 19.945 მან. მაშინ, როდესაც ხარჯების დასაფარავად გავიდა 21.230 მან. ივლისში აღნიშნულ განყოფილების მოსამსახურეთა მარტო ჯამაგირებზე დაიხარჯა 5320 მან.

ზარალის მომტან დაწესებულებას. ეკუთვნის აგრეთვე ბორჯ. მამ. სარძეო ფერმა ციხის ჯვარში. 1917 წ. ხარჯთ-აღრიცხვით შემოსავალი ნაანგარიშევია 31.120 მ., გასავალი 42.272 მ. მოსამსახურეთა ჯამაგირზე იხარჯება თვიურად 3653 მ. საერთო გასავალი ფერმისა გასული წლის 1-ლ იანვრიდან 1-ლ ენკენისთვემდე უდრის—53.777 მან. ამავე ხნის განმავლობაში რძის ნაწარმოებთა გაყიდვისაგან შემოვიდა 25.915 მ. 85 კაპ. ბოთლი რძე იყიდებოდა 60 კაპ., ნაღები 1 მ. 1918 წ. მარტში გაყიდულია 3.148 მ. რძე და ფერმის მოსამსახურეებზე მიცემული 138 ბ. ნაღები.

რევიზიის დროს ფერმა ისე, როგორც მამულის ცალკალ ინვენტარიანი სხვა სამეურნეო დაწესებულებანი, იყო კრიტიკულ მდგომარეობაში საქონლისათვის საჭირო საკვების უქონლობის გამო. ნაწილს თივისას ფერმა იღებდა ახლო მდებარე მინდვრებიდან, ხოლო დანარჩენ თივას იმ მინდვრებიდან, რომლებიც გაცემულია ადგილობრივ გლეხებზე მოსავლის ერთ მესამედში.

ფერმის გარშემო მდებარე მინდვრებიდან გროვდებოდა 200,000 ფ. თივა. ამ წელში კი 69000 დესიატინა ადგილზე მამულის ადმინისტრაციას არ აუღია არც ერთი მუჭა თივა.

ფერმაში იმყოფება 63 მეწველი ძროხა, 4 მოხვეერი, 10 მუშა ხარი და 27 ხბო სხვადასხვა ასაკისა. არის ძროხები ალმაზიური, შვედური, ჰოლანდიური და სხვა ჯიშისა; საუკეთესო ჯიშად ითვლება შვედურ და ადგილობრივ ჯიშთა ნარევი.

ბოლო დროს შენიშნულია ფერმის ძროხების ხშირი გაყიდვა: 1917 წ. ოქტომბერში გაიყიდა 23 ძროხა 5195 მ. 1918 წ. იანვარში გაიყიდა 13 ხბო, შემდეგ მაისში საჯარო ვაჭრობის დაუნიშნავად გაიყიდა 6 ხბო—750 მანეთად და საჯარო ვაჭრობით—23 ძროხა და 5 ხბო 19.149 მან. ეს უკანასკნელი ვაჭრობა ჩატარდა მეტად შინაურად.

სიის მიხედვით მამულის თავლაში ირიცხება 15 ცხენი; კონტროლის მიერ შემოწმების დროს კი თავლაში აღმოჩნდა 13 ცხენი, ყველა გადალახული, დაუძლურებული. თავლაში ცხენებისათვის ისეთი მისაბმელებიც კი გაუკეთებიათ, რომ დასუსტებული ცხენები არ წაიქცნენ და საბოლოოდ არ დაშავდნენ. ცხენის დღიურ საზრდოდ ნაჩვენებია 30 გირვანქა თივა. ასეთი თავლის შენახვა თვეში ჯდება 6000 მ, მეტად. ამ ანგარიშში ჩათვლილი არ არის მოსამსახურეთა უფასო ბინები. შტატს 10 კაცი შეადგენს: მეეტლეები, მუშები და გამგე.

შენახვა მთელის საეტლოსი და შეშის საწყობისა, სადაც ერთი ნაჭერი შეშაც არ აღმოჩნდა, თვეში ჯდება 1873 მ., მოსამსახურეთა უფასო ბინების გარდა, რომლის შტატი 6 კაცისაგან შესდგება.

ვაცნობე—რა ზემო აღნიშნული მთავრობის თავმჯდომარეს (№ 35,26) და მიწათმოქმედების მინისტრს (№ 35,25), მე გამოვსთქვი, რომ ბორჯომის მამულის აოხრების გზაზე დამდგარ მეურნეობის გამოსაბრუნებლად აუცილებლად საჭიროა სისწრაფით იქნეს მიღებული შემდეგი ზომები:

1. დაინიშნოს კომისიის მოქმედების გამოძიება ფაქტიურ რევიზიის აქტების მიხედვით. ამასთანავე კომისია გადაყენებულ უნდა იქმნეს საქმიდან და მოეთხოვოს მას ანგარიში როგორც მამულის ჩაბარებისა, ისე მისი მართვა-გამგეობისა;

2. დაინიშნოს ერთი უფლებამოსილი გამგე მამულისა;

3. გადისინჯოს შტატი მამულის მოსამსახურეებისა და მუშებისა და შეეფარდოს იგი თითეულ სამეურნეო დაწესებულების საჭიროებას;

4. განთავისუფლდენ მამული იმ დაწესებულებათაგან, რომელთაც არა აქვთ მასთან მჭიდრო სამეურნეო კავშირი, როგორც, მაგალითად, კომისარიატია, სახელოსნო სასწავლებელია და სხვა.

5. დაწესდეს განსაზღვრული ნორმები მოსამსახურეთათვის სახაზინო ბინების მიცემისა და სათბობ ღუმელთა ნამდვილ რიცხვის მიხედვით შეშის მიცემისა. მოწესრიგდეს გაცემულ ელექტრონის ენერგიის ანგარიში;

6. გამოირკვეს საკითხი მამულის თანხიდან მამულის ყოფილ მოსამსახურეთათვის შემდეგში პენსიებისა და დახმარების მიცემისა;

7. მოწესრიგდეს ფულისა და ნივთიერ ანგარიშების წარმოება. მიღებულ იქმნეს ზომები ვალებისა და დარჩენილ გადასახადების ასაღებად.

8. განხილულ იქნეს საკითხი მინერალური წყლის ექსპორტის შესახებ ქებაძეს და ამხანაგობასთან დადებული ხელშეკრულობის შესწორებისა და მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები, რათა წარმოების ხელშემშლელი მიზეზები აცილებულ იქმნეს.

9. აღიკრძალოს როგორც ჩასალაგებელ და საცობ მასალის, ისე მამულის სხვა ქონების უსისტემო გაყიდვა.

შემუშავდეს გეგმა მამულის მეურნეობისა და სახალისათვის გამოუსადეგარ ქონების ლიკვიდაციისა; მისი გაყიდვა შეძლებისდაგვარად მოხდეს თფილისში.

10. სასწრაფოდ გაუსწორდეს ანგარიში შუშის ქარხნის მუშებს; ინსტრუქტორებად დატოვებულ იქმნეს უსაჭიროესი რიცხვი ხელოსან-სპეციალისტთა. ყოველ მხრივათ განხილულ იქმნეს ტყიბულის (?) ადგილის ქარხნის შემდეგი მუშების საკითხი.

11. ბოლო მოეღოს ტყის თვითნებურ ჭრას და მის ახოებად გაკაფვას.

12. აღიკრძალოს ქარხნის გარეშე გლეხების მიერ ხე-ტყის გაყიდვა, დაწესდეს ქარხნებში ხე-ტყის მოსატანი სამართლიანი ფასები.

13. აღიკრძალოს ნაყარი ხე-ტყის უფასოდ მიცემა.

14. შემოღებულ იქმნას სანარდო ხელფასი მამულის ყველა ქარხნებში.

15. შეიქმნეს საწარმოვო ფონდი, რომლიდანაც მუშებს და გლეხებს მუდამ თავის დროზე ეძლეოდეს ხელფასი.

16. მოწესრიგებულ იქმნას მამულში ფინანსიური და სასურსათო კრიზისი.

17. მიღებულ იქნეს ზომები საჯარო გადასახადის გ-დიდებისათვის. გადაისინჯოს ყველა საოჯახო ხელშეკრულობა; დაიდვას ხელშეკრულობა იქ, სადაც არ იყო, ან მას ვადა გაუვიდა; გადიდდეს რძის ნაწარმოების ფასები, მოწესრიგდეს მათი გაყიდვა და გაცემა.

18. მოხდეს თავლისა და საქათმის ლიკვიდაცია, მოწესრიგდეს საეტლო, გაუქმდეს ერთი ყვავილაარი, მიეწეროს ბოსტნები ქარხნებს და დაიწყოს მათი კომერციული ექსპლოატაცია. გაიცეს იჯარით ხილის ბაღები.

19. შესწყდეს სასახლის ქონების დაქსაქსვა, შეიკრიბოს იგი, დავთრებისა და აღწერილობების ჩვენებით, გამოიკვლეს მისი დანაკლისი. ქონების უკანონოდ სარგებლობისა, გაფუჭებისა და დაკარგვისათვის მოხდეს ფულის გადახდევინება. გადახდევინებულ იქმნეს აგრეთვე დანაკლისი ღვინის და კომისიის წევრებზე გაცემულ ბოსტნეულის საფასური.

20. დაისვას დღიურ რიგში საკითხი იმის შესახებ, რომ სახლები და სარძეო ფერმა რომელიმე სასწავლებლის უწყებაში გადაიცეს.

ამის პასუხი კონტროლიორს არ მიუღია.

წერილი რედაქციის მიმართ

მესამე კომისარიატის კომისრის თანაშემწე, შტაბს-კაპიტანი ცინცაძე ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე უდიერად ეპყრობა მოქალაქეთ. უშვერი ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება ყველას და ყოველგვარ შეურაცყოფას აყენებს ადამიანს.

ერთი ასეთი მაგალითთაგანი იყო პარასკევს, მარტის 14. შტაბს-კაპიტანმა ცინცაძემ უმიზეზოთ დააკავა რამდენიმე პირი, რომელთაც ვითომდაც დეზერტირობას სწამებდა და გაგზავნა კომისარიატში. დაბრუნებისას მათ საშინელი ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებოდა. ენას არ შეუძლია გაიმეოროს ის ბინძური და ამაღელვებელი სიტყვები, რომლებითაც ცინცაძე მათ მიმართავდა.

ჩვენა გვგონია, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში გვიხდება ცხოვრება და ყოველი პიროვნება ადმინისტრაციისაგან ასეთი უსაბუთო ლანძღვა-გინებისაგან თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროთ სინამდვილეში დიამეტრალურ წინააღმდეგობას აქვს ადგილი. ხალხის ბედი აბარიათ ისეთ ვაჟბატონებს, როგორიც ბრძანდება შტაბს-კაპიტანი ცინცაძე, რომელთა საზღვარს გადასული უსაქციელობა, სახელს უტეხს მთავრობას და ადმინისტრაციას.

ისეთი უდიერი მოპყრობა, მით უმეტეს უდანაშაულო მოქალაქეთადმი, რომელიც ცინცაძემ გამოიჩინა არ შეფერის ადმინისტრაციის წარმომადგენელს. მისი თავაშვებულობა პირდაპირ საზღვარ დაუდებელი იყო და რომ ეს ასეა ჩვენ შეგვიძლია ფაქტებითა და მოწმეებით დავამტკიცოთ.

დრო არის საზღვარი დაედოს ასეთ თავ-გასულ ვაჟბატონების მოქმედებას და დაცულ იქნას მოქალაქენი დაუმსახურებელ ლანძღვა-გინებისაგან.

გრიგოლ გოდერძიშვილი.

რედაქტორი გრიგოლ ეეშაპელი.

ქ. თფილისის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კომიტეტი ამით აცხადებს, რომ 5 თებერვლიდან დაიწყ საქართველოს სახელმწიფო

ხაზინის 5% მოკლე ვადიან ვალდებულებათა

გაყიდვა თფილისის შემდეგ დაწესებულებებში:

1) თფილისის სახელმწიფო ბანკის კანტორაში;
2) კავკასიის ბანკში;
3) თფილისის ვაჭრებთა ბანკში;
4) ამიერ-კავკასიის ბანკში;
5) აზოვ-დონის კომერციულ ბანკში;
6) პეტროგრადის საერთაშორისო კომერციულ ბანკის განყოფილებაში;
7) % თფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში;
8) თფილისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საურთიერთო კრედიტში;
9) თფილისის მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში;
10) „ა. დ. ფრიდონოვის" და კ-ნია ბანკირთა კანტორაში;
11) % მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილებაში;
12 თფილისის რუსთა საზოგადოების საურთიერთო კრედიტში;
13) კავკასიის საზოგადოების საურთიერთო კრედიტში.

შეძენა ვალდებულებათა შეიძლება მხოლოდ ნაღდ ფულებზე ფინანსთა მინისტრის მიერ გამოქვეყნებულ პირობებში.

მატარებლების მიმოსვლა

(11 თებერვლიდან)

მიდის თფილისიდან.

ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღამ.	7 საათ.	30 წ.
ხაშურიდან—ღამის	10 ს.	52 წ.
შორაპნიდან—ღამის	1 ს.	34 წ.
სამტრედიიდან—ღამის	3 ს.	50 წ.
ფოთში —— დილის	5 ს.	50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში		20 მან.
მ. № 3 საფოსტო დილის	10 ს.	30 წ.
ხაშურიდან—დღის	3 ს.	08 წ.
შორაპნიდან საღამოს	6 საათ.	
სამტრედიიდან—საღ.	8 ს.	34 წ.
ფოთში —— ღამის	10 ს.	43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში		10 მან.

ქუთაისში:

მ. № 9 სამგზავრო საღამოს—	10 ს.	30 წ.
ქუთაისში მივა დილის —	7 ს.	21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში		5 მან.

ბორჯომში:

№ 19 სამგზავრო დღის	3 ს.	30 წ.
გორიდან საღამოს	6 საათ.	30 წ.
ბორჯომიში მივა საღამოს	9 ს.	27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში		5 მან.

ბაქოში:

მ. № 4 საფოსტო ღამის	11 ს.	10 წ.
მ. № 8 სამგზავრო განჯამდე დღის	3 ს.	35 წ.
მ. № 6 სასწრაფო ყოველ დღე საღამოს 9 საათზე ბაქომდე პლაცკარტის ფასი ბაქომდე I კლ. 60 მ. II კ. 40 მ. III კ. 20 მ.		

ყარსისაკენ—ერევანში:

მ. № 4 საფოსტო დღის —	1 საათ.	40 წ.

მცხეთაში:

მ. № 61 დილის — — —	7 საათ.	37 წ.
მ. № 63 — — — — — —	დღის 3 ს.	

მოდის თფილისში.

ფოთიდან:

მ. № 2 სასწრაფო დილის	9 საათ.	41 წ.
ფოთიდან გამოვა საღამ.		11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღამოს	8 საათ.	ფოთიდან გამოვა დილის 7 ს. 40 წ.

ქუთაისიდან.

№ 12 დილის — — — —	8 ს.	15 წ.
ქუთაისიდან გამოვა საღ.	10 ს.	33 წ.

ბორჯომიდან.

№ 20 დილის — — — —	7 ს.	20 წ.
ბორჯომიდან გამოვა ღამის	12 ს.	46 წ.

ბაქოდან.

მ. № 3 საფოსტო დღის —	4 ს.	30 წ.
№ 5 სასწრაფო დილის — — —	7 ს.	
№ 7 სამგზავრო განჯიდან დილის	8 ს.	30 წ.
№ 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი I კლ.—60 მ., II კლ. 40 მ. III კ. 20 მ.		

ნახჩევანიდან და ყარსიდან.

მ. № 3 საფოსტო დილის —	11 ს.	30 წ.

ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში

მცხეთიდან.

№ 62 დილის — — —	11 ს	10 წ.
№ 64 საღამოს — — —	7 ს.	20 წ.

ახალი წიგნი.

სამინისტროს მიწათ-მოქმედების წიგნთ საცავში იყიდება ახლად შედგენილი და გამოცემული წიგნი: „Сборникъ законовъ, инструкцій по Министерству Земледѣлія", შედგენილი მიწად-მოქმედების მინისტრის იურისკონსულტის ნაფიცი ვექილის ლ. გ. ასათინის მიერ.

ფასი ერთი ცალისა 7 მანეთი.

ექიმი დ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 14, ტელ. 14—60.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.

ერთად-ერთ **სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურნალ**

თეატრი და ცხოვრება-ზე

წელიწადი **მეშვიდე** გამოცემისა

წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მა. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: თფილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწიგნეების რიგზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ დილის 9 ს.—საღამოს 7 ს. ფოსტით: თფილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. იქვე მიიღება შემოწირულება ჟურნალის ფონდის სასარგებლოდ.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ტელეფონი 4—73.